5
1954

W1-24

ეროვნული ბიბლიოთეკა

განუყრელი ძმები

„დიდება რუს ხალხს, ჩვენს ღვიძე ძმას, რომელმაც ხელი გამოგვიწოდა მძიმე ბრძოლაში.

დადგება დღე, შეერთდება ეს ორი ძმა და ვერავითარი ძალა ვერ გასტეხს ჩვენს ძმობას.“

ბოგდან ხმელნიცკი

5
1954

— ძმაო ბოგდან, დღეს უკვე ჩვენ ორნი კი არა, თექვსმეტნი ვართ!

Обязательный экземпляр

ნახ. ი. თბილელის

შეჯიბრიანი გიჟები

— დოლარების მიღება ხომ გნებავთ, მისის გრეი?

— დიახ, ჩემს ქალიშვილს ჟანე გრეის სამი დოლარი ერგება...

— ვიცით, ვიცით, სამი დოლარი, ვითომ რაო, ცოტაობთ?

— არა, მისტერ, მაგის თაობაზე კრინტიც არ დაგვიძრავს, აი, ჩემმა გოგონამ გამოიმუშავა და...

— ოჰო, ხო, ხო, „გამოიმუშავა", „გამოიმუშავა", ვითომც ამ ხუთიოდე წლის წინათ ჯაშუშობისა და ამერიკის სახელმწიფოებრივი წყობილების დამანგრეველ მუშაობაში უფრო მეტი არ გამოუმუშავებია, არა? ვიცით, ვიცით, მისტერ მაკარტის ვერც ასე ადვილად მოატყუებთ!

— კი მაგრამ...

— მოითმინეთ, აქ „მაგრამებით" ფონს ვერ გახვალთ, რას აკეთებდა ხუთი წლის წინათ თქვენი ქალიშვილი მის ჟანე გრეი?

— ეს ხომ გაუგონარი სისულელეა, მისტერ, ეს ხომ...

— ხმა, კრინტი! თქვენ აქ სულელებსაც გვიწოდებთ? მაშასადამე, ანტიამერიკული მოქმედების გამომრკვევი კომისიის თავმჯდომარე მისტერ მაკარტი სულელი ყოფილა, ხომ! ჩერჩეტი ყოფილა, ტუტუცი ყოფილა...

— მე ცნობილ ფაქტებზე არ მოგახსენებთ, მისტერ, მე მინდა მხოლოდ მივიღო სამი დოლარი, რაც ჩემმა გოგონამ გამოიმუშავა... „ნატურად" დგომისათვის.

— ისევ დოლარები და დოლარები! დოლარებს ვერ მიიღებთ, სანამ თქვენი ქალიშვილი ჟანე გრეი ფიცს არ დასდებს, რომ ის უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ ყოფილა ჩარეული ანტიამერიკულ მოქმედებაში.

— ეგ ხომ... ეგ ხომ მართლაც სასაცილო გამოდის, მისტერ! ჩემი გოგონა ხომ...

— ვიცით, გამართლებას დაუწყებთ, ეგ არ გამოვა, მოაწერეთ ფიცის ტექსტს ხელი...

და ამ გიჟური დაკითხვის ავტორმა „მისტერმა" კალიფორნიის შტატის ქალაქ პასადინის მცხოვრებ უბრალო ამერიკელ ქალს მისის გრეის ხელის მოსაწერად შეაჩერა სტანდარტული ფიცის სტანდარტული ბლანკი იმის დასამტკიცებლად, რომ მისი ბავშვი—სამი წლის გოგონა ჟანე გრეი... უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში ჩაბმული არ ყოფილა ანტიამერიკულ მოქმედებაში.

ჭეშმარიტად, მაკარტის კომისიის შტატიანი გიჟების საგამომძიებლო სისულელე ხუმრობას მაინც რომ გავდეს, მას იუმორს უწოდებდა კაცი, მაგრამ იუმორი სისულელეს ხომ არ ითმენს!

დროის მწვანილი

— თქვენ როგორ ფიქრობთ, წარმატება ექნება?

— რა ბრძანებაა, ადენაუერის გერმანიაში ფაშიზმის აგიტაციის წარმატებას წინ რა უდგას?

— ვთქვათ, მაგ ფილმის გაშვება მაინც ვერ გაბედეს ბონის ეკრანებზე, მაშინ?

— მაშინ ამერიკის ეკრანებზე გაუშვებ, იქ ხომ უდავო წარმატება ექნება...

ეს პატარა დიალოგი მიუნხენელი „კინოკომბინატორების" იმ ინტერვიუს ნაწყვეტია, რომელიც ადენაუერის პრესის ფურცლებზე გამოჩნდა.

რა ფილმზეა აქ ლაპარაკი?

არც მეტი, არც ნაკლები... ჰიტლერის პოპულარიზაციის შემცველ კინოდომხალზე, რომელიც ჰიტლერის გიჟური „მოღვაწეობის" დროს გადაღებულ კინოქრონიკებისაგან შეაკოწიწა ვინმე ჰარტვინგმა.

თავისი ამერიკელი პატრონების შემხედვარე ადენაუერი, ალბათ, ფიქრობს, რომ უკვე დადგა დრო, როცა დასავლეთ გერმანიაში უკვე ახდილად შეიძლება ცოფიანი ფიურერის პოპულარიზაცია, რაც თავისთავად ფაშიზმის აშკარა აგიტაციას ნიშნავს.

ნათქვამია, ყველა დროს თავისი მწვანილი მოსდევსო. მაგრამ ბონის დამჭკნარ ბოსტანშიც კი ვეღარასოდეს ვერ ამოვა ჰიტლერული მწვანილი.

უჩინმაჩინი

ნახ. გ. ლომაძისა

ეაჭრული მეგობრობა

ამერიკელ ვაჭრის გული
„მეგობრობამ" განადიდა:
არაფერი არ მიიღო
შესახეადად კანადიდან.

ხოლო თვითონ, ხაკონელი
უხვად გააქვს კანადაში,
ამისთანა „მეგობრობას"
არ ეკუთვნის განა ტაში?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახ. გ. ფირცხალავა

საარგილარიო ღუეგი



რუსთაველის სახელობის თეატრს განზრახული აქვს დადგას „არსენა ჯორჯიაშვილი“, „ბაგრატიონი“ და „გზა მომავლისა“.

აკაკი ხორავა. აკაკი ვასაძე.

რუსთაველის თეატრს შარშან ორნივ ვაკლდით მეტნაკლებად, —
წელს კი ჩვენი უქმად დგომა არ ჩათვალეს სპექტაკლებად!..

ხურთ თეატრი ალამაღლონ კრიტიკით და არა ქებით,
ჩვენც მზადა ვართ ახალ-ახალ კადრებით და აკაკებით!

და ამიტომ გადავწყვიტეთ დავდგათ ხეზარ დე ბაზანი,
და კვლავ ხალხის შესაკრებად გავიხროლეთ ზარბაზანი!

დე ბაზანმაც თუ არ გახეზრა, ძველ როლს შევცვლით ახალ როლით,
გამოვიყვანთ ჯორჯიაშვილს სიმღერით და ბომბის ხროლით.

გამოვიყვანთ ბაგრატიონს თავის მჭექარ ზარბაზნებით,
შინ ფეხმორთხმით რომ არ დარჩნენ ძველისძველი ზარმაცებიც.

გამოვიყვანთ თვით ერეკლეს, რომ ელიბოს ზარბაზანმა
გაიმარჯვოს ხალხში ისე, როგორც ხეზარ დე ბაზანმა.

დელი-ოდილავაძე

ერთი სურათი დრამაგურგთა ცხოვრებიდან

ნახ. დონაძე

ამ ნათელ სურათს განმარტება არ ხჭირდება... დროა საავტორო უფლებათა დაცვის კომიტეტმა ილიას, აკაკის, ნინოშვილისა და ყაზბეგის საავტორო უფლებაც დაიცვას!.. „გადამკეთებელთა“ სახელებს არ ვასახელებთ, რადგან, ვფიქრობთ, რომ ისინი არცთუ ისე სასახელო საქმეს ხჩადიან...

სართიჭალის თავადი

იყო და არა იყო რა... ჩვენი დროის კუდაბზიკა ნათავადარზე უარესი რაღა იქნებოდა... და ეს ამბავი ასე დაიწყო:

სართიჭალაში თურმე ერთი ალექსანდრე ჭავჭავაძე ყოფილა, (ჩვენი სახელოვანი პოეტი არავის გეგონოთ!) ძალზე გულზვიადი და ამაყი რამ!...

პატივემეფულ ალექსანდრეს, როგორც ცნობილი გვარის ჩამომავალს, თურმე ძალიან უყვარს საკუთარი თავის სხვაზე მაღლა დაყენება. გასული წლის ნოემბერში, მისი ქალიშვილი თ. ა. ჭ., თავისი სურვილით გაჰყვა ცოლად შ. გ-ს; იცოდნენ რა ქალის მშობლების მხრიდან მოსალოდნელი დაბრკოლება, ქალ-ვაჟმა თვითონვე გადასწყვიტა საკითხი, მათ თვითონვე მონახეს მშაჩი და ხელიც თვითონვე მოაწერეს.

აღშფოთდნენ ალექსანდრე ჭავჭავაძე და მისი მეუღლე...

— როგორ გაბედა მათმა შვილმა, რომ ცოლად გაჰყვა ვიღაც ხიკუტს (?!).

ლანძღვა-გინებითა და ქედმაღალი სიტყვებით მოსვენება დაუკარგეს მთელ სოფელს!..

ამასობაში გავიდა ერთი დღე...

„შეურაცხყოფილმა“ მამამ არც ა�eა და არც აცხელა,— მეორე დღეს მეშტმოღერებული მიადგა კარზე სიძესა და ქალს; შვილს მოსთხოვა დაუყოვნებლივ დაბრუნებულიყო ოჯახში.

ალექსანდრეს გაშმაგებას საზღვარი აღარა ჰქონდა, როდესაც გაიგო, რომ მისი შვილი ნებით წამოჰყოლია საქმროს და სახლში დაბრუნებას აღარ აპირებს!.. გიამთანა ხელჩართული შეტევა, შეიქმნა წიგნ-კიკილი, „გამიშვი“ და „დამიჭი“. (ამბობენ მოპირდაპირე რომ არავინ იყო, ამან უფრო გააგულადაო ალექსანდრე!) როგორც იქნა დაბრუნეს სახლში.

ამ დღიდან ალექსანდრემ „ურჩი“ შვილის მამობაზე ხელი აიღო. არც მისი მეუღლე ჩამორჩენია ქმარს: სულ კიწწისკვრით იფრინა გარეთ შუამავლად მოსული მეზობლები, უარყოფილი შვილისათვის კი მხოლოდ ჩითის კაბა გადმოაგდო ეზოს გარეთ... ესეც არამია მასზედაო...

მშობლები დღესაც სწყევლიან და აგინებენ თავიანთ „უღირს“ შვილს, რომელმაც ასე უდიერად „შეარცხვინა“ გვარი (!) და ოჯახიშვილობა.

ეკითხოთ ჰატივცემულ ალექსანდრეს—რა მიაჩნია მას „ოჯახისა და გვარის შერცხვენად“?.. რატომ ავიწყდება მას, რომ ჩვენში შეუღლება მხოლოდ ნებაყოფლობითია და ყველ ასაკოვან, თავისუფალ მოქალაქეს აქვს ამისი უფლება!?

ან, იქნებ მართლაც დამნაშავეა მისი შვილი, რომ მისთვის სასურველ ადამიანს გაჰყვა კანონიერ ცოლად!

ნ. ჯიგოტბური

უკრაინაში, მკითხველო, ჩვენც გვყავს ჩვენი ძმობილი, — ნიანგის თანამოკალმე „მერეცად“ არის ცნობილი.

ПЕРЕЦЬ-ი სწყურია ნიანგთან

საქოფრესი

ერთხელ, თბილისში, ავლაბარში, საკო არუთინოვმა გამდიდრა მოინდომა; ქალაღი წინ დაიდო და თავის თავს შეეკითხა, ეს მორჩევთ?!“

ენამ უთხრა: „ღვინის წერტი გახსენ, საკო, არ ინანებო“.

თვალმა უთხრა: „ავტოინსპექტორი გაბდი, თუ გინდა, რომ ლის მადლიერი იყოო“.

ყურმა უთხრა: „ატელიეში მოეწყე მკერავადო და ნუ გეშინაო“.

ცხვირმა უთხრა: „ბენზინის საწყობში მუშაობა ცუდი არ უნდა ოსო“.

იფიქრა საკომ, იფიქრა და ბოლოს არც ერთის რჩევას არ უყურა. „მე თქვენგან ბევრი რჩევა მომიღია და ცოხეში ჩაჯდომის ტი არაფერი მინახავს; ჯობია კონიაკ-არყის ტრესტი გაგხსნაო“. ალ დამადებულ ორგანიზაციას საკომ „საკოტრესტი“ დაარქვა, ბო მის ახლად დანიშნულ დირექტორს სარკეში ჩუმად უთხრა: ელფასზე, აბა, რა გითხრა, ჩემი საკო, სჯობია ხალტურაზე გადე იოლადო“.

გადაადგა საკომ ფული და გაჩნდა სპირტი, გადაასხა ნატახტი სპირტს და გაჩნდა არაყი, უთაკა არაყს სიროპი და გაჩნდა ენიაკი, გააგორა კიდევ ფული და გაჩნდა სამტრესტის იარლიყები.

შემდეგ საკომ სახელწოდების შერჩევაზე გიიბერვა. უნდოდა ნიაკისათვის „ენისელი“ დაერქმია და არაყისათვის „თელავი“, ბრამ ბოლოს „სამტრესტი“ აირჩია. „თუმცა მისი ზოგიერთი ბაკი უჩემოდაც არ აკლებს ხელს ღვინო-არყების ნათელას და ბონის წაცხებასო, მაგრამ სახელი მაინც ცხრა მთას იქით აქვს ვარდნილიო“. გამდნარი სურგუჩი ბოთლის თავზე დაასხა, სამტრესტის ბეჭედი დასვა და თანაც ჩაილაპარაკა: „ხეირზე გატეხსო“.

მოკიდა საკომ ზურგზე კონიაკი, არაყი და თბილისში რკინიგზ ორსის სასადილო № 68-ში მებუფეტე ონიკ გრიგორიანს ულ:

— ონიკჯან, კონიაკი მაქვს, ისეთი ვარსკვლავებიანი, რომ ცის ვარსკვლავებს ეთამაშებაო!

— რამდენ ვარსკვლავიანიაო?!

— რამდენიც გინდაო.

— ხუთი იყოსო.

— ხუთი მოვიდაო.

— კონიაკი შენი და მარიფათი ჩემ ბრძანო.

იქიდან საკო სხვა მხარეს წავიდა, არც ცხრა სახელმწიფო და არც ცხრა ქალაქი გამოუცვლია, ოღი ტარამვაის. ბოლოს „გამოიცვალა და თბილეკპრობის მარჯვენა ნაპირის № 63 წერტის გამიდველს პაშა სანებლიძეს ეწვია.

— გამარჯობა, ნათლიდედ, როგორა ხარო?!

— შენი წყალობა ნუ მომაკლოს, ნათლილაშ, არა მიშავს რაო.

— არაყი მაქვს ისეთი, რომ ბაბუსს სხეულიდან სულ მუჯლუგუნის კვრით გამოიყვანს და ხომ არ ინებებო?

— გმადლობ, ნათლიმამ, არაყს არ გიიბლებითო.

— იქნებ სტუმრებისათვის გამოიყენოო?

— როგორია შენი არაყი, ნათლიმამ, ქაფს იქერსო?

— ქაფს არაყი კი არა, მე ვიქერ, და თუ გინდა ცოტას შენც დაგაქერინებო.

აბა, ამისთანა შაქარიანი სიტყვების შემდეგ პაშას მადლობის მეტი რა ეთქმოდა, ნათლიმამას გასძახა „ხეირის გზაზე გატეხოსო“, და საქმეს შეუდგა.

გაიშალა მუშაობა... საკოტრესტის თანამშრომლებს რკინიგზის მუშათა მომარაგების სასადილო № 86-ის მიმტანი ვარლამ ნიკოლაიშვილი შეუერთდა, ცოტა ხნის შემდეგ კინოთეატრ „ოქტომბერში“ მეხანძრედ მომუშავე არმენაკ მერაბოვიც მიემატა და ისეთი პურისპპამა გააჩაღეს, რომ მეზობელ სასადილოების მუშაკები გაკვირვებისაგან ხან თავს იქნევდნენ და ხან თითს.

ცხოვრობდნენ ასე ტკბილად საკოტრესტის მუშაკები, ცა ჭუდად არ მიაჩნდათ და დედამიწა ქალამნად; იყიდებოდა თათარიანნად გაწყალსპირტებული კონიაკი და არაყი; მართალია, დამლევი მასში არც ირომატსა გრძნობდა და არც პურსა სუნავდა სიმაგრის გასანელებლად, მაგრამ სამაგიეროდ საკოტრესტის თანამშრომლებმა ისეთი მოგება დაყნოსეს, რომ თავი სამოთხეში ეგონათ.

„ზღაპარიც“ აქ თავდება და საკოტრესტის მოღვაწეობაც.

ვ. ..ქახელიშვილი

უსხო სიყვავთა ანა-მანმარგება

ნახ. ბე-ზანი

ანა ლიტერატურა,



ანა არქიტექტურა,

ანა ხელოვნება,

ანა ფერწერა,

ანა აგროკულტურა,

ანა მანუფაქტურა,

არამედ — ნაწარმოები

ათიოლოე ხინკალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საღამოს ექვს საათისათვის ელისაბედი წესისამებრ, სადილისათვის სუფრის გაშლას შეუდგა. ცხრა წლის ბიჭუნა და შვიდი წლის გოგონა, სიცილ-კისკისით ეხმარებოდნენ დედას ჭურჭლის გაწყობაში. როდესაც ყველაფერი მზად იყო, ელისაბედმა ბავშვებთან ერთად ტახტზე მოიკალათა და ოჯახის უფროსის მოლოდინში, ახალ ფერადნახატებიან წიგნზე დაიწყეს ლაპარაკი. მათი ბაასი ტელეფონის ზარის წკარუნმა დაარღვია.

— მამა რეკავს! — შეჰყვირა გახარებულმა გოგონამ და ტელეფონისაკენ გაიქცა.

ყურმილში მართლაც მამის ხმა გაისმა.

— კრება მაქვს, დამაგვიანდება... ისადილეთ უჩემოდ... — უთხრა მან შვილს საქმიანი კილოთი და ყურმილი ჩამოჰკიდა.

შვილის დაბნეულ გამომეტყველებაზე ელისაბედი მიხვდა, რის თქმაც შეეძლო დავითს. დაფარული გულისტკივილით დასვა ბავშვები მაგიდასთან. სამივე უხმოდ შეუდგა სადილობას. სიჩუმე გოგონამ დაარღვია.

— გუშინაც კრება... დღესაც კრება... — თქვა მან უკმაყოფილოდ და დაბუკული ტუჩები აიბზუა.

— მეც, როდესაც გავზრდები, კრებაზე ვიყვი... როგორც მამა... — ამპარტავნობით წარმოთქვა ბიჭმა და დედას გაულიმა.

— შენმა მზემ, ძალიან გაახარებ ამით შენს ცოლ-შვილს! — გაბრაზებით თქვა ელისაბედმა და მაგიდიდან წამოდგა.

იმ საღამოს ბავშვებმა ისე დაიძინეს, რომ მამის შინ მოსვლას ვეღარ მოესწრნენ. ოჯახურ საქმეებით გართულმა ელისაბედმა დიდხანს იფაციფუცა სამზარეულოში და როდესაც კედლის საათმა თორმეტჯერ ჩამოჰკრა, მანაც დაიძინა.

დავითმა „დელი-დელას“ ღიღინით შედგა ფეხი სასადილო ოთახში ერობაშად შეჩერდა.

— სუ!.. სუ-უ!.. — შეუტია მან თავის თავს, ხელისგული ტუჩებზე აიფარა და გაირინდა. მხოლოდ მაშინ განაგრძო სიარული, როდესაც დარწმუნდა, რომ სახლში ყველას ეძინა. მაგიდის მკრთალი სანათური ჩართო. უდროოდ გამელოტებულ თავზე, აქა-იქ შერჩენილ, თითით დასათვლელ თმას სათუთად გადაუსვა ხელი, სკამზე დაჯდა და ფეხსაცმელების ზონარების გახსნას შეუდგა. თავის დღეში რომ არ გასჭირვებია, ისე გაუძნელდა ახლა ზონარების გახსნა. მოთმინებიდან გამოსულმა სხვა რომ ვეღარაფერი მოიფიქრა, ერთი რიგიანად „შეუკურთხა“ ზონარს და მის გამკეთებელს და ფეხსაცმელები გაბრაზებით წაიგდო ფეხიდან.

ღამის სიწყნარეში, წაგდებულ ფეხსაცმლის ხმაური აფეთქებასავით გაისმა ოთახში. დავითი ბურთივით წამოხტა სკამიდან, დამფრთხალი თვალები საძინებელ ოთახის კარებს მიაშტერა. წუთი... მეორე... კარები არ გაღებულა... დავითმა შვებით ამოისუნთქა. ის-ის იყო ისევ დაჯდომა დააპირა სკამზე, რომ საძინებელ ოთახის კარები ფართოდ გაიღო და სასადილო ოთახში ელისაბედი შემოვიდა.

— შენ ხარ, დათა? — იკითხა შეშინებულმა ქალმა და იმავე წუთში ღიმილით დაუმატა: — სიზმარი თუ იყო... მე მომეჩვენა, რომ...

დავითმა აღარ დაამთავრებინა სიტყვა ცოლს და აჩქარებით დასძინა:

— მოგეჩვენა, მოგეჩვენა...

გაბრაზებულმა მაგრად გაჭკრა ფეხი ფეხსაცმელს და მერე მზრუნველი მეუღლის ტონით მიმართა ელისაბედს:

— წადი დაწექი... არ გაცივდე...

ქმრის გულთბილი სიტყვებით გულაჩუყებული ელისაბედი ქალიშვილივით აწრიალდა. თვალის დახამხამებაში მოამზადა სუფრა ვახშმისათვის და კრიალა თეფშით სამზარეულოდან ორთქლში გახვეული ათამდე ხინკალი შემოიტანა.

— სპეციალურად შეგინახე... ძილის წინ მოგიმზადე... — თქვა მან კისკისით და ხინკალით სავსე თეფში დავითს დაუდგა მაგიდაზე.

— საპმლის დანახვაზე დავითმა, უნებლიედ მუცელზე წაივლო ხელი. ადვილი სათქმელია, ათამდე ხინკალი! სხვა დროს შეიძლება ოც ცალზეც არ ეთქვა უარი, მაგრამ ახლა, რესტორანის საპმელებით ნასიამოვნებს ათი ხინკალის შეპმა პრობლემად მოეჩვენა. დავითმა უგემურად დაინაოჭა სახე, დაღლილობა მოიმიზეზა და წამოდგა სკამიდან.

— შენ არ მომიკვდე, არც იფიქრო, დათა, რომ მშიერი დაგაძინო! — გაცხარდა ელისაბედი, — დაჯექი ახლავე და ხელი მოკიდე ხინკალს.

— არ შემიძლია... არ შევეპამ, არა... — გაეპირვეულდა დავითი და გამოზომილი ნაბიჯით ლოგინისაკენ გაემართა.

— არა, შესპამ! — ჯიუტად წარმოთქვა ელისაბედმა, მკლავში ჩაავლო ქმარს ხელი და მაგიდისკენ გამოსწია.

— არ შემიძლია, ვერ შევეპამ, არ გეყურება, ქალო? — დაიყვირა ცოლის დაჟინებული სურვილით გაბრაზებულმა დავითმა და მკლავი გაინთავისუფლა.

— მე სულელი, სულ რეცეპტებით ვამზადებ სადილებს... ვისთვის? რისთვის?... — თქვა აცრემლებულმა ელისაბედმა და თვალთაგან ღაპაღუპით გადმოჰყარა ცრემლები. — სიკვდილი ხომ არ გადაგიწყვეტია, შე უბედურო, რას შიმშილობ, რას?

— რა შუაშია სიკვდილი?..

— წუხანდელი ვახშამი ხელუხლებელი დამხვდა ამ დილით, დღესაც უარს ამბობ ჭამაზე, აბა, მითხარი რას ნიშნავს ეს?.. რამე რომ მოგივიდეს, გგონია, ტრესტის მმართველი დაგიჯდება კუბოს თავში ჭირისუფლად? — დასჭექა მოთმინებიდან გამოსულმა ქალმა და ხმამაღალი ტირილი ამოუშვა.

დავითმა ალმაცერად გახედა ცოლს. ღრმად ამოიოხრა. მიუჯდა მაგიდას. ხინკალით გავსებულ თეფშს დახედა, მაგრამ მცირე ხნის შემდეგ უხეშად გაჭკრა ხელი ხინკალს და სასოწარკვეთილად წამოიძახა:

— ელისაბედ... ოხ, ელისაბედ! — და ორივე ხელი თავზე წაივლო.

ქმრის ოხვრამ ერთბაშად გააჩუმა ელისაბედი. იგი დააკვირდა დავითს და შეშინებულმა ჩაილაპარაკა:

— მესმის!.. შენ გულმოკლული ხარ... შენ გაგაკრიტიკეს კრებაზე... ვიცი, ვიცი შენ გაგაკრიტიკეს...

ჩაფიქრებულ დავითს არ გაუგონია ცოლის ბუტბუტი. იგი წინანდებურად თავზე ხელებშავლებული იჯდა და დროდადრო ოხრავდა. ქმრის ასეთმა მოქმედებამ უფრო დააეჭვა ელისაბედი.

— გაგაკრიტიკეს, დათა?! — შეიცხადა მან და ტირილით ტახტზე დაემხო.

— გამაკრიტიკეს?! მე გამაკრიტიკეს?! — იღრიალა გამწარებით დავითმა და მუქარით რამდენჯერმე მუშტი დაარტყა მაგიდაზე.

— რას გერჩიან, რა უნდათ შენგან? — მოთქვამდა ელისაბედი.

— დავიღუპეთ, დავიღუპეთ!.. მოხსნას ხომ არ გიპირებენ? — იკითხა ერთბაშად ქალმა და წამოხტა ტახტიდან.

— მოხსნას?!. არ ვიცი... თუმცა... — გაუგებრად ჩაიბურღღუნა დავითმა და გამალებული ნაბიჯით დაიწყო ოთახში სიარული.

— მოხსნას გიპირებენ?.. ვაი, ჩემს დღეს!.. ვაი, ჩემს გაჩენას! — აკივლდა ელისაბედი და ორივე ლოყა ჩამოიკაწრა ფრჩხილებით.

მშობლების ყვირილზე სასადილო ოთახში ბავშვები შემოცვივდნენ. ისინი შეშინებული თვალებით შეცქეროდნენ დედ-მამას და უხმოთ ყლაპავდნენ ლოყებზე ნაკადულებად ჩამოსულ ცრემლებს.

— ისარგებლეს ჩემი აქ არ ყოფნით?.. დიდი ვაჟკაცობა კი არის ზურგს უკან სხვისი ლანძღვა. — წამოიყვირა დავითმა და გაოფლიანებული შუბლი სახელოთი შეიმშრალა.

— მამი, განა შენ არ ესწრებოდი კრებას? — მოულოდნელად იკითხა გოგონამ.

— მე, არც კი ვიცოდი, რომ დღეს კრება გვქონდა. — გულუბრყვილოდ უპასუხა შვილს დავითმა.

— როგორ თუ არ იცოდი? — ძლივს იკითხა ტირილისაგან დასუსტებულმა ელისაბედმა. — შენ ხომ დაგვირეკე... — მწარედ ამოიკვნესა და ოთახი ბროლის ჭაღით გააღაღაჟა.

— საღამოობით დაწესებულებებში კრებების მოწვევა და მუშაობა აკრძალულია-მეთქი, რომ გითხარი, აღარ გახსოვს?!. ეგ დაწესებულებებს შეეხება და არა წარმოებასო... აი, თურმე რას აწარმოებს!..

ცოლი და შვილები დავითის ღვინისაგან ამღვრეულ თვალებს დააკვირდნენ. ის კი, გულისწყრომით უყურებდა, უკვე სავსებით გაციებულ, ათიოდე ხინკალს.

ნანა ქანდელაკი

ინგრიგით უზრუნველყოფილი

ფრიად სიმპათიური დაწესებულებაა სოციალური უზრუნველყოფის განყოფილება. აქ ერთთავად მოდიან მოხუცები, ინვალიდები და სოციალისტური სახელმწიფოს დახმარების წყალობით თავი ამაყად უჭირავთ. ძნელი წარმოსადგენია იმაზე სასიქადულო მდგომარეობა, ვიდრე ამ ადამიანთა მომსახურება, ასეთ საქველმოქმედო დაწესებულებაში მუშაობა!

ერთი შეხედვით შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ აქ, ამ დაწესებულებაში მომუშავენი, მოხუცთა და ინვალიდთა მომსახურებაში გართულ-დახელოვნებულნი, ერთიმეორესაც ისე კეთილად და ქველად ეპყრობიან, რომ მათ ყოველ დალაპარაკებაზე კაცს ორკილოგრამიანი თავი შაქარი გაახსენდება.

ეს ბევრგან ჭეშმარიტად ასეა, მაგრამ თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სოცუზრუნველყოფის განყოფილებაში ასე არ გახლავთ.

ნატო ხოფერია 1947 წლიდან მუშაობდა ხსენებული განყოფილების ერთ-ერთი ზონის ინსპექტორად. მუშაობდა და სოცუზრუნველყოფის განყოფილების ინსპექტორი პენსიონერთადმი ზრუნვაში ისე იყო გართული, რომ თავს უზრუნველად გრძნობდა.

მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს, სახელდობრ 1952 წ. 25 აპრილს, განყოფილების გამგემ ამხ. გ. პირველმა ნატოსადმი ისეთი უცნაური მზრუნველობა გამოიჩინა, რომ ამის გამო ჩვენ, დაახლოებით ორი წლის შემდეგ, ამ ფელეტონის დაწერა მოგვიწია.

— ნატო-ჩემო, შენ ნაავადმყოფარი ხარ და ძალზე მეცოდები, დაიღლები მუშაობით. წადი, სამ დღეს კიდევ დაისვენე, მოჯობინდი, მოლონიერდი და სამსახური სად გაიქცევა!— მიმართა პირველმა ხოფერიას და ნატო ყოველგვარი ეჭვის გარეშე დაბრუნდა შინისკენ.

სამი დღის შემდეგ კი სამსახურში დაბრუნებულ ნატოს „მზრუნველმა“ უფროსმა ერთობ უსიამოვნო ამბავი დაახვედრა: „ოლქის უფროსის ნათელაშვილის განკარგულებით სამსახურიდან მოხსნილი ხარ და აწი რამდენიც გინდა იმდენი დაისვენეო“.

გაწბილებულმა ნატომ ოთხ დღეს იფიქრა იმის შესახებ, თუ რა უნდა სწყენოდა მისგან საოლქო უფროსს, რით უნდა ყოფილიყო გამოწვეული მისი მრისხანება.

იფიქრა, იფიქრა და რაკი მსგავსი მიზეზი ვერაფრით ვერ მოიგონა, გულდამშვიდებით ესტუმრა საოლქო უფროსს— რას მერჩოდი, რა გინდოდა ჩემგანო.

საოლქო უფროსს გაკვირვებისაგან ისეთი სიცილი აუვარდა, კინალამ საპენსიო გახდა— ვინ მოიგონა ეგ ჭორი, მე სიზმარშიც არ მომსვლია ფიქრად შენი მოხსნაო.

ახლა კვლავ რაიუფროსთან მიირბინა ნატომ—რატომ მეხუმრებიო. რაიუფროსმა კი გაბედული პასუხი დაახვედრა:

— შენ ჩემს მოწინააღმდეგე ჯგუფში ყოფილხარ, რაღაცა ინტრიგებს მიწყობ თურმე და ჩემს დაწესებულებაში ვერ გაგაჩერებო!

ნატომ დედაც იფიცა, მამაც, ნათესავ მეგობრებიც, მაგრამ გულქვა უფროსის გული ვერაფრით ვერ მოალბო. ოც დღეს მიმდინარეობდა ეს ხვეწნა-ფიცება, 9 ივნისს გ. პირველმა ნატოს მოხსნის ბრძანება გამოაცხო და ხელზე მაინც არ მისცა, კაცნი ვართ, არ იჩივლოს, ჯერ საბუთები მოვამზადოო.

ოცდაშვიდ დღეს ამზადებდა უფროსი თანამშრომლის სამსახურიდან მოხსნის „საბუთებს“, ვერაფერი ვერ მოძებნა, მაგრამ 6 ივნისს მოხსნის ბრძანება მაინც ჩააბარა.

ნატო ხოფერიამ საკონფლიქტო კომისიას მიმართა. გაარჩიეს, გამოარჩიეს და რაკი კომისიის წევრებს ნატოს დღეში ჩავარდნის შეეშინდათ, უფროსს მიემხრნენ.

ხოფერიამ ხელში ბრძანება დაიჭირა და შეუდგა სიარულს დაწესებულებიდან დაწესებულებაში. ყველგან ამტკიცებდა თავის სიმართლეს, მაგრამ ყველა იმას ერიდებოდა, რომ გ. პირველი დიქტატორული ტონით აცხადებდა:

საუბარი დახლთან

ნახ. ი. ჯიშკარიანისა

— მომხმარებლის მოთხოვნილება წელს თუ მარ...ლა ასე გადიდდა, ჩვენ რაღა მოვიხმაროთ?!.

— ჭკუა მოვიხმაროთ... და გავცილდეთ აქაურობას, თორემ დამპალ, ძველ და უვარგის საქონელს, ვატყობ, ჩვენც თან გაგვაყოლებენ...

— თუ ნატო ხოფერია სამსახურში უკანვე დააბრუნეთ, მე სამუშაოს მივატოვებ!

გაუდიოდა გიორგის მუქარა. ნატო მიზანს ვერ აღწევდა.

იარა ნატომ, იარა და ბოლოს სახალხო სასამართლოს მიადგა. სახალხო სასამართლოში, მოგეხსენებათ, ერთეულ ბიუროკრატთა განწყობილებას მხედველობაში არასოდეს არ ღებულობენ და მოხდა ის, რომ ნატო ხოფერია გაამართლეს, ოცი დღის განაცდურის ანაზღაურება დაწესებულებას დააკისრეს და რაკი სამსახურიდან უსაფუძვლოდ გაგდებული ხოფერია უმუშევრად წელიწადნახევარზე მეტ ხანს დადიოდა, დანარჩენი განაცდურის ანაზღაურების მიზნით მიეთითა უფროსისათვის ეჩივლა.

ახლა ახალი, ძნელად გადასაწყვეტი ფიქრი აეკვიატა ხოფერიას: ეჩივლა უფროსისათვის და რამდენიმე ათასი მანეთი გადაეხდევინებინა? მერე როგორღა იმუშავებდნენ ერთად? გაჩერდა ნატო, იქნებ ამით მაინც მოვულბო გული ჩემს „მზრუნველ“ უფროსსო.

ამხ. გ. პირველი კი მიუხედავად იმისა, რომ თავისი პირველული ხასიათის გამო 1952 წლიდან დაწყებული წელიწადნახევარზე მეტ ხანს ატარა ნატო უმუშევრად, დღესაც ვერ ისვენებს. დღენიადაგ ნატოს უხეშობის შესახებ ლაპარაკობს და ნერვებზე მოქმედების ისეთი მშვენიერი ხერხი გამონახა, რომ შესაძლებელია ნატო ხოფერიას მალე კენჭების სროლაც კი დააწყებინოს.

აქ ფელეტონს ვამთავრებთ და ჩვენი სურვილია პირველ-ხოფერიას უსიამოვნო კინკლაობაც დამთავრდეს. ამას გარდა, რაკი ამხ. გ. პირველი ასეთ საქმეში პირველი არ არის, დაწესებულების ხელმძღვანელის საყურადღებოდ უნდა ვთქვათ, რომ უფროსი, მართალია უფროსია, მაგრამ მასზე უფროსი საბჭოთა კანონია, რომელიც ყოველ საბჭოთა მოქალაქეს დამშვიდებული შრომის სრულ გარანტიას აძლევს.

გ. კორინთელი

რედაქტორი კარლო კალაძე. სარედაქციო კოლეგია: **გრ. აბაშიძე, აკ. ბელიაშვილი, ი. გრიშაშვილი, უჩა ჯაფარიძე, ი. ნონეშვილი, ს. ფაშალიშვილი.**

Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нианги“. **რედაქციის მისამართი: რუსთაველის პროსპ. № 42. ტელ. 3-10-49.**

ხელმოწ. დასაბ. 25/I 1954 წ. სტამბა „ზარია ვოსტოკა“, რუსთაველის პროსპ. № 42. შეკ. № 167 გამოც. № 1 ტირ. 15.000 უე 01594.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

перець-ი საუთრად ნიანგთან



„მაღალი სპეციალისტი“

— რაო?! მაღაროში?! უკაცრავად! — ეხეთი მაღალი სპეციალისტი, რო-გორიც მე ვარ, ახე დაბლა ვერ დაე-შვება!..

№ 34
3/11